ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3747864

ნომერი: AR1562071

თარიღი : 03.12.2017

გაცემის თარიღი : 21.12.2017

გაცნობის თარიღი : 21.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქარელი , N 25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 დეკემბერს #AR1562071 განცხადებით მომართეს გიორგი მასხულიამ და ამხანაგობა „ქარელის ქ. #25“-ის თავმჯდომარემ გურამ ონიანმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, განახლებული საკადასტრო გეგმის დაფიქსირების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ქარელის ქ. #25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.17.013.019, ფართობი: 742 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლის განთავსების მიზნით 2010 წლის 12 ივლისს დამტკიცდა №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა: (საკადასტრო კოდი #01.10.17.013.019; ფართობი 742 კვ.მ, განცხადების ნომერი: 892017111278; მომზადების თარიღი: 01/12/2017წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის- სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის №1023 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.